ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 109

ქალაქი ქუთაისი 6 სექტემბერი 2019 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მე-101 მუხლის მე-3-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია “ (ს /კ 412722914) დირექტორი პაატა ლილუაშვილის სახით, მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის 9ა. (შემდგომში „შემსყიდველი“)

და

მეორეს მხრივ შპს რაპაკა (ს/კ 412704505) დირექტორი კახაბერ გვეტაძე სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ააიპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციას გაუწიოს შემდეგი მომსახურეობა დაუმზადოს ერთი ცალი ბეჭედი შტამპი სამსახურის სახელწოდებიტ და საინდიფიკაციო ნომრით ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით.

რომლის საერთო ღირებულებაა 40 ლარი და 00 თეთრი

CPV 0192153 - ტექსტური შტამპები

2.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიერ მოსაწოდებელი, ან მოწოდებულ საქონელზე კონტროლს განახორციელებს ააიპ “ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია” -ს დირექტორი პაატა ლილუაშვილი.

2.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია შეუფერხებლად აანაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. მიწოდების პროცესში მიმწოდებელი და შემსყიდველი საჭიროების შემთხვევაში განიხილავენ მიწოდებისათვის გაწევის ვადებში ცვლილებების შეტანის საკითხს.

3. გარანტია

3.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდეს მაღალი ხარისხის საქონელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით, ხელშეკრულებაზე თანდართული ცხრილის შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას გადახედოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხს.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის” მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

4.3 ანგარიშსწორების ვადაა მოწოდებული საქონლის აქტის დამტკიცებიდან **10 სამუშაო** დღე.

4.4 ანგარისწორება განხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011წლის 14 ივნისის №336 ბრძანებით დამტკიცებული “საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვალდებულების აღებისა და ხარჯების გაწევის წესის შესახებ” ინსტრუქციის შესაბამისად.

5. საქონლის მიწოდების ვადები

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შემსრულებელმა შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებაში მითითებული ვადის განმავლობაში.

5.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2019 წლის **6 სექტემბერი** 2019 წ **31 ოქტომბერი ჩათვლით**.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ საქონლის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 10 სექტემბრის **ჩათვლით.**

6.2 მიმწოდებლის მიერ საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ფაქტიურად საქონლის მიწოდების დადასტურების შემდეგ.

6.3. მიწოდებული საქონელი საბოლოოდ ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები.

7.2 გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში. 7.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის პირობებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

8.1.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8.3 იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა თვეში გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. მხარეთა უფლება მოვალეობები

9.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის «ფორს-მაჟორი» ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების, გადასახდელების გადახდაზე.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ააიპ იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია-დმო იმერეთი (ს/კ 412722914) <u>მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის 9ა.</u> **დირექტორი** **პაატა ლილუაშვილი** Mob: 599 44 55 51 893397399	დირექტორი: კახაბერი გვეტაძე **შპს რაპაკა** ს/კ: 412704505 ქ.ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2 ბანკი: პროკრედიტ ბანკი ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ნ: **GE54 PC00 1360 0100 0459 00**

Paata Liluashvili

Digitally signed by Paata Liluashvili
Date: 2019.09.06 16:01:15 +04'00'